

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემადგენლობა არჩეულ იქნა 2017 წლის ოქტომბერში საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით. საკრებულო შედგება 16 მაჟორიტარული და 15 პროპორციული წესით არჩეული დეპუტატისაგან. 2017 წლის 20 ნოემბერს ხმათა უმრავლესობით ამირჩიეს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ.

2017 წლის ნოემბერში საკრებულოში შეიქმნა 5 კომისია: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია; საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია; ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისია; ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია;

ჩამოყალიბდა 5 ფრაქცია: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (16 წევრი); „ქართული ოცნება კონსერვატორები“ (4 წევრი); „ქართული ოცნება - მრეწველობა გადარჩენს საქართველოს“ (4 წევრი); „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის“ (3 წევრი); „ერთობა“ (4 წევრი);

დღემდე საკრებულო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს კანონმდებლობის სრული დაცვით. 2019 წლის განმავლობაში საკრებულოში ჩატარდა 9 მორიგი და 11 რიგგარეშე სხდომა. მიღებულია 20 დადგენილება და 68 განკარგულება. საკრებულოში შემოსულია 124 წერილი, გასულია 60 წერილი; საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოცემულია 113 ბრძანება.

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები ჩართული არიან და აქტიურად მონაწილეობას იღებენ მერიის სატენდერო, სოციალური, ინფრასტრუქტურული ობიექტების და პროექტების მიღება-ჩაბარებაში, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და სხვა კომისიების მუშაობაში.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ძირითადი პრობლემები არის უმუშევრობა, სტიქიით მიყენებული ზარალი, ყურძნისა და ხილის ჩაბარება, ჯანმრთელობის პრობლემა და სხვა.

მე, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, ყველა მოვლენის საქმის კურსში ვარ. პრობლემებს ვეცნობით ადგილზე, ვსწავლობთ სიტუაციას და შესაბამის წინადადებას

წარვუდგენთ მუნიციპალიტეტის მერიას და საქართველოს მთავრობას. საკრებულო და მერია აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. მიმდინარე წელს საკრებულო მერიასთან ერთად აქტიურად იყო ჩართული საშემოდგომო სამუშაოებში. მოსახლეობისაგან მაქსიმალურად იქნა ჩაბარებული ყურძნის მოსავალი როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო კომპანიის მიერ. საერთო ჯამში ჩაბარდა 1200 ტონამდე ცოლიკოურის ჯიშის ყურძენი, 250 ტონამდე ოჯალეში, 12 ტონამდე ალექსანდროული. სახელმწიფო კომპანიის მიერ მიღებულ იქნა 7 ტონამდე, ხოლო კერძო კომპანიების მიერ გადამუშავებულ იქნა 50 ტონამდე უსახელოური.

მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მოხდა ახალი ა(ა)იპ-ების ჩამოყალიბება. თუმცა მათი შემადგენლობა, ფუნქციები და მოვალეობები დასახვეწია და მერიასთან ერთად მიდის კონსულტაციები ამ მიმართულებით.

საკრებულოს მუშაობა გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. საკრებულოს წევრები ხვდებიან მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, შეისწავლიან მათ პრობლემებს და საკრებულოს წინაშე აყენებენ საკითხს მათი მოგვარების შესახებ. საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მიღებულია მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე. მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების შესახებ საკრებულოში ყოველთვის იმართება ღია განხილვა. ხშირია კამათიც, თუმცა საბოლოოდ მიიღება ოპტიმალური გადაწყვეტილებები.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ჯერ-ჯერობით პრობლემად რჩება უმუშევრობა, სასოფლო გზების მოწესრიგება. არის სოფლები, სადაც ძალიან დიდი პრობლემებია მოსახლეობის წყლით მომარაგების საკითხში.

2019 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში განხორციელდა რამდენიმე დიდი ინფრასტრუქტურული პროექტი. დასრულების ფაზაშია ხვამლზე მისასვლელი ბეტონის გზის რეაბილიტაცია, რომლის ღირებულება დაახლოებით 16 მლნ ლარია. ქ. ცაგერში მოხდა რამდენიმე ქუჩის ასფალტირება. სრულდება საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა ქ. ცაგერში, რომელსაც ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო. კეთილმოეწყო ტურისტულად მიმზიდველი ადგილები სოფელ ღვირიშში, ჩხუტელში, ჩქუმში, ორბელში და სხვა ადგილებში; აშენდა ორი ახალი საბავშვო ბაღი; სოფლებში: ლასურიაშში, ოყურეშში, ორბელში, ქვედა ცაგერში, ალპანაში აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა

ამბულატორიის შენობებს; ქ. ცაგერში აშენდა 112-ის ახალი შენობა, სრულდება ქ. ცაგერში სპორტკომპლექსის ახალი შენობა, რომლის ღირებულება დაახლოებით 3 მლნ ლარს შეადგენს; განხორციელდა რამდენიმე სკოლის რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში მოეწყო ბეტონის საფარიანი გზები.

2019 წლის განმავლობაში საკრებულოში ორჯერ შეიქმნა დროებითი სამუშაო ჯგუფი. აპრილის თვეში სამუშაო ჯგუფი შეიქმნა საკურორტო ადგილ „ახალჭალის“ განვითარებისა და მისი პერსპექტიული დაგეგმარების მიზნით. ჯგუფის წევრებმა ადგილზე შეისწავლეს არსებული მდგომარეობა და გააკეთეს ანალიზი მომავალი კურორტის განვითარებისა და სავარაუდო ეკონომიკური გათვლების შესახებ. ჯგუფის მიერ მომზადებული იქნა მოხსენებითი ბარათი და შესაბამისი განკარგულება.

სამუშაო ჯგუფი შეიქმნა სექტემბრის თვეში ლეჩხუმში არსებული ვაზის ენდემური ჯიშების ადგილწარმოშობის დაცვის საკითხზე. ჯგუფმა აქტიურად იმუშავა არსებულ პრობლემებზე. გაკეთდა შესაბამისი დასკვნა და განკარგულება. წერილები გაეგზავნა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს. ასევე ღვინის ეროვნულ სააგენტოს და საქპატენტს. მათგან მუშაობა დაწყებულია და უახლოეს დღეებში შესაბამისი უწყებებიდან ველოდებით მუნიციპალიტეტში სპეციალისტების ჩამოსვლას არსებულ საკითხზე სამუშაოდ. ამ პრობლემის მოგვარება მნიშვნელოვნად წაადგება როგორც მეღვინეობა-მევენახეობის განვითარებას ლეჩხუმში, ასევე გაზრდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შემოსავალს ყურძნის რეალიზაციის შედეგად..

საკრებულოს საქმიანობის გამართულად მუშაობას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი, სადაც მუშაობა მიმდინარეობს კანონმდებლობის დაცვით. აპარატის მიერ დროულად ხდება საკრებულოს სხდომების მომზადება, ასევე სამართლებრივი აქტების გამოქვეყნება საკანონმდებლო მაცნეში, მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე და ადგილობრივ საინფორმაციო ბიულეტენში.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო და საკრებულოს თავმჯდომარე ყოველთვის აქტიურად არის ჩართული მუნიციპალიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში, შეძლებისდაგვარად ცდილობს წახალისოს ახალგაზრდული ღონისძიებები და აქტივობები, მხარს უჭერს და ორგანიზაციულ დახმარებას უწევს მუნიციპალიტეტში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს.